707 w/ 10488

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 3 მარტი, 1990 წელი ● № 10 (2887) ● СУББОТА, 3 МАРТА 1990 г.

რედაქტორის სვეტი

## რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით

**...26 მაისი, 25 თებერვალი..., 9 აპრილი** — რამდენი რამის მთქმელია თითოეული... დღეს ისინი სიკეთისა და ბოროტების ჭიდილის სიმბოლოებად ქცეულნი (სიკეთისათვის თავდადებულთა სულის ნათელით გასხივოსნებულნი) ახლებურად გაგვააზრებინებენ თუ — **რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით.** დრომ თავისი მოიტანა, **ყველაფერი ისტორიულად კუთვნილ ადგილზე დგება.** ამ ბოლო ორ წელიწადში საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეში, დიდი სირთულეების მიუხედავად, მრავალი ნაბიჯი გადაიდგა წინ და **გვეხსნება კიდევ ერთი დღე, დღე რომლისკენაც 69 წელია ასე მიილტვის საქართველო.**

ამ დღისკენ მიმავალნი სულ უფრო ერთიანდებიან საქართველოში არსებული პროგრესული ძალები. დიალოგს (რომელიც ერთი წლის წინ მავანთ და მავანთ მიუღებლადაც კი მიაჩნდათ) საკუთარი სიძნელეებიც გააჩნია... მაგრამ რაც მთავარია მიმდინარეობს ძალთა კონსოლიდაცია, რამეთუ დღეს კარგად გვაქვს შეგნებული, **რაც უფრო ერთსულოვანი და შემოქმედია ერი, მით უფრო მყარია მისი მომავალი.**

— „სამართლებრივი სახელმწიფო, რომლის შექმნაც ჩვენ გვინდა, პირველყოვლისა განსხვავდება იმით, რომ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებათა და ინტერესთა მრავალგვარობა, შესაძლებლობას იძენს თავისუფლად განაცხადოს საკუთარი თავის შესახებ, დაიცვას თავი პოლიტიკური სტრუქტურების ჩარჩოებში, პოლიტიკური საშუალებებით იბრძოლოს საკუთარი მიზნების მისაღწევად" — ასე გამოსახა ჩვენი დემოკრატიის სასურველი სახე სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს III სესიის გახსნისას მ. ს. გორბაჩოვმა. ჩვენ გარკვეულ დროსა და სივრცეში ვცხოვრობთ, სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა განვჭვრიტოთ დღეს ჩვენში მიმდინარე პროცესები, რათა დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებასთან ერთად კვლავაც არ დაგვატყდეს თავს უბედურება. **არ უნდა მივცეთ ვინმეს საბაბი (რისი მწარე გამოცდილებაც გვაქვს) ჩვენი მოქმედება შეაფასოს ანტიდემოკრატიულად, ექსტრემისტულად და ანარქისტულად. ამის გათვალისწინებით ემოციები (რაც ასე ჭარბად ვლინდება ჩვენში) არ უნდა დავაყენოთ გონიერებაზე მაღლა.** სწორედ ამიტომ დღეს ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების ალტერნატიულ არჩევნებს.

ცხოვრებისეული სიბრძნე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განსჭვრიტო მომავალი — როგორც მთლიანობაში, ასევე მის ცალკეულ კონკრეტულ გამოვლინებებში და ამის გათვალისწინებით იმოქმედო. **ეს სულაც არ ნიშნავს პასიურ პოზიციას. ეროვნულ საკითხში საქართველოს მილიცია არასოდეს მდგარა პასიური მაყურებლის როლში. პირიქით,** სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ მას ექსტრემალურ ვითარებაში რეალობის აღქმის და მასში უშუალოდ მონაწილეობის საკუთარი სპეციფიკა აქვს. ეს კიდევ ერთხელ დაგვანახა ამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა 9 აპრილის ტრაგედიის დროს, ქვემო ქართლში, აფხაზეთსა თუ ოსეთში, **ყოველივე ეს არ დარჩენილა შეუმჩნეველი და შეუფასებელი ჩვენი საზოგადოების მხრიდანაც,** მაგრამ სამინისტროს ხელმძღვანელობა რეალისტურად საზღვრავდა რა პოლიტიკური ცხოვრების განვითარების სირთულეებს, იმთავითვე მოუწოდებდა ყველა თანამშრომელს არ მისცემოდნენ ეიფორიის მდგომარეობას, მომავალშიც არ მოედუნებინათ სიფხიზლე, აღმოეფხვრათ ნაკლოვანებათა ის ცალკეული გამოვლინებანი, რომლებმაც იჩინეს თავი ექსტრემალურ სიტუაციაში მოქმედებისას. ამასთან საგამოძიებო სამსახურებს მოეთხოვათ, კანონის ფარგლებში მაქსიმალურად დაეჩქარებინათ იმ პირთა გამოვლენა და სასამართლო ორგანოებისათვის გადაცემა, რომლებიც აქტიურ წამქეზებლურ პოზიციას ადგნენ, ან ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროვოცირებული ეროვნებათაშორისი დაპირისპირების ცნობილი მოვლენების დროს.

**...შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებზე ცხადად ვის შეუძლია წარმოიდგინოს ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს ასეთ ექსტრემალურ პირობებს** — თვეობით, ოჯახს მოწყვეტილი არანორმალური ცხოვრება, ზოგიერთი ელემენტარული ყოფითი პირობების უქონლობა, უძილო ღამეების სუსხი, უმადური, მტრულად მომზირალი სახეები, თავდასხმები, მიღერებული იარაღი, მიღებული ჭრილობები, თავგანწირვა... **ეს ის სინამდვილეა, რომელიც მათ გამოიარეს და საჭიროების შემთხვევაში კვლავაც მზად არიან ერის წინაშე მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და პროფესიული ვალი...**

იმ დღეებში თანამშრომელთა საკმაო ნაწილი დიდი ხნით მოსწყდა პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, რასაც ცხადია არ შეეძლო თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ოპერატიულ ვითარებაზე. ამას უნდა დავუმატოთ დამნაშავე ელემენტების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა მკვეთრი გააქტიურება და ისიც, რომ რესპუბლიკის საზოგადოება სათანადოდ არ უჭერდა მხარს ში ორგანოებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში...

ყოველივე ზემოთქმულს სერიოზული შეფასება მიეცა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზედაც განხილული იქნა გასული წლის შედეგები. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ სრულიად არ არის გამოყენებული ყველა რეზერვი, კვლავაც აქვს ადგილი თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის დაბალ პროფესიონალურ დონეზე შესრულების და ბოროტად გამოყენების ფაქტებს დაისახა შესაბამისი ღონისძიებები...

როგორც ვხედავთ მუშაობის სრულყოფისათვის საზრუნავი, საფიქრალი და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ამასთან უნდა ვიყოთ **რეალისტები და ვიცოდეთ რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით...**

## შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან

**მიმდინარე** წლის 19 თებერვალს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბში პოლიტიკური განყოფილების ინიციატივით მოეწყო შეხვედრა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული ცენტრის უფროსთან შ/ს მაიორ ც. გურჩიანთან, რომელიც აჭარის ქალთა საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ დეპუტატობის კანდიდატად იქნა წამოყენებული ხელვაჩაურის № 287 ახალშენის საარჩევნო ოლქში, აჭარის სახანძრო დაცვის უფროსთან შ/ს პოლკოვნიკ ო. ცინცაძესთან, რომელიც ხელვაჩაურის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ქვეგანყოფილებისა და პროფესიული სახანძრო ნაწილის პირადი შემადგენლობის მიერ დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული იქნა ხელვაჩაურის № 289 კახაბრის საარჩევნო ოლქში და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწესთან მილიციის კაპიტან თ. თავდგირიძესთან, რომელიც კახაბრის № 2 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული იქნა ხელვაჩაურის № 288 კახაბრის საარჩევნო ოლქში.

შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი გ. ლომთაძე, სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ი. წულუკიძე, სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი, მილიციის კაპიტანი შ. ჯიბლაძე და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

შეხვედრისას დეპუტატობის კანდიდატებმა სამინისტროს პირად შემადგენლობას გააცნეს თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამები, ისაუბრეს იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაზე, რომლებზეც უფრო მეტი ზრუნვა მოუხდებათ მათი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებად არჩევის შემთხვევაში.





## В ПРЕДДВЕРИИ КОМСОМОЛЬСКОГО ФОРУМА

**Курс Коммунистической партии на ускорение социально - экономического развития страны неразрывно связан с неуклонным проведением в жизнь присущего социализму принципа социальной справедливости, всемерным укреплением дисциплины, порядка и организованности. Отсюда — особая ответственность за охрану правопорядка и обеспечение социалистической законности, которая ложится в современных условиях на правоохранительные органы, в том числе на комсомольцев органов внутренних дел.**

**КОМСОМОЛЬСКАЯ** организация УВД Тбилгорисполкома объединяет более тысячи комсомольцев. Ее ряды ежегодно пополняются молодыми сотрудниками, значительная часть которых направляется в органы внутренних дел по рекомендациям трудовых коллективов, партийных и комсомольских органов.

В прошедшем году более трехсот молодых сотрудников, пришедших на работу в органы внутренних дел, — комсомольцы.

Центральной задачей комсомольских организаций органов и подразделений УВД Тбилгорисполкома является воспитание молодых сотрудников в духе беззаветного служения Родине, образцового выполнения своего служебного долга.

Перестроечное движение в стране, процессы расширения гласности и демократии в нашем обществе внесли в нашу жизнь свои коррективы. Общество, находившееся в летаргическом сне застойного периода, проснулось, политически активизировалось, ищет новые формы, пути развития. Гласность и демократия дали простор альтернативному мышлению, формированию различных общественных объединений и политических партий. В стране стали организовываться многолюдные митинги, забастовки, а в отдельных регионах — экстремистские выходки зачастую с тяжелыми последствиями. В этих условиях от сотрудников органов внутренних дел, стоящих на страже общественного порядка, как никогда требуются выдержка, четкое соблюдение закона, трезвое политическое мышление.

Надо отметить и повседневную деятельность молодых комсомольцев — сотрудников органов внутренних дел, которые несут нелегкую круглосуточную службу по охране общественного порядка, защите населения и соцсобственности от стихии огня, вступают в схватки с преступными элементами, не думая о себе, ведут борьбу за жизнь своих сограждан.

В этом напряженном каждодневном круговороте дел комсомольцы УВД Тбилгорисполкома находят время для организации своего культурного досуга, принимают активное участие в проведении III Всесоюзного фестиваля народного творчества, в рамках которого проходили выставки, концерты и другие мероприятия. Не так давно получил путевку в жизнь спортивный праздник «Веселые старты», в котором принимали участие наряду с сотрудниками органов внутренних дел и члены их семей.

В феврале месяце т. г. исполнилась годовщина со дня вывода Советских войск из Афганистана. Это событие нашло отклик в сердцах воинов - интернационалистов, которые сейчас продолжают свою службу Родине в органах внутренних дел, многие из них — члены ВЛКСМ.

Сегодня комсомольцы органов и подразделений УВД Тбилгорисполкома живут в ожидании предстоящего съезда ЛКСМ Грузии и съезда ВЛКСМ. Сейчас во всех комсомольских организациях идет обсуждение Устава и Программы ВЛКСМ. Каким быть комсомолу, какие проблемы, задачи необходимо ему решать, какие формы и методы работы необходимо избрать? Эти и ряд других важных вопросов необходимо решить комсомольцам.

**А. АБДАЛАДЗЕ,**
**капитан милиции, помощник начальника политического отдела УВД Тбилгорисполкома по комсомольской работе.**

# И ТРЕБОВАТЕЛЬНОСТЬ, И ОТВЕТСТВЕННОСТЬ

**НА ВОПРОСЫ** нашего корреспондента отвечает и. о. министра внутренних дел Абхазской АССР полковник милиции Г. Н. Ломинадзе.

**— Гиви Николаевич! Как Вы оцениваете оперативную обстановку в автономной республике в 1989 году? Дала ли ответ на этот вопрос недавно состоявшаяся коллегия МВД, обсудившая итоги борьбы с преступностью за прошедший год?**

— Надо признать, что в 1989 году в борьбе с правонарушениями в деятельности служб министерства, органов милиции на местах наметились серьезные негативные тенденции, которые способствовали резкому осложнению оперативной обстановки. Результат — рост преступности, низкий уровень раскрываемости.

Криминальная статистика не может не тревожить. По линии уголовного розыска, например, совершено на 448 преступлений больше, чем в 1988 году, из них—234 тяжких. Значительно возросло число убийств и покушений на жизнь, тяжких телесных повреждений, краж государственного и личного имущества граждан, грабежей и разбойных нападений.

**— Бытует мнение, в том числе и среди работников милиции, что всему виной обострение межнациональных отношений, общественная напряженность...**

— В целом подход к ситуации неверен. Конечно, нельзя и это сбрасывать со счетов. Милиция не какая-нибудь изолированная организация, она полноправная часть общественно - политической структуры и не может быть ограждена от происходящих социальных процессов.

Криминогенная ситуация в республике вызвана общественно - политической обстановкой, равно как и состояние преступности оказывает на нее влияние. Большое число посягательств на личное имущество, жизнь, здоровье и достоинство граждан в какой-то мере подорвало веру населения в силу закона, в силу милиции, и это, естественно, вызывает отрицательный резонанс.

В свою очередь нельзя отрицать, что ситуация была сложной, и именно тогда следовало напрячь все силы для поддержания общественного порядка, чего не было сделано.

**— По стране преступность в городах значительно выше, чем в селах. А как в Абхазии?**

— И у нас города удерживают «первенство». В Сухуми, например, на 120 процентов увеличилось число тяжких преступлений. Из общего числа правонарушений в Абхазии в городе совершается каждое третье, каждое второе имущественное преступление, каждое четвертое убийство, каждый второй грабеж.

Серьезной остается обстановка в Очамчирском районе, где преступность возросла на 41,6 процента, раскрываемость составляет 44,6 процента, в Гальском районе на 29 процентов увеличилось число тяжких преступлений, в Гудаутском — на 39,3 процента, в Гульрипшском—на 58.

**— Важнейший итог высокого профессионализма сотрудников милиции—раскрываемость преступлений. По стране этот показатель оставляет желать лучшего — всего 59,3 процента. Причем, не раскрывались, например, каждые две кражи личного имущества из трех. А как работают в этом направлении Ваши сыщики, следователи?**

— Раскрываемость преступлений по линии уголовного розыска в республике несколько выше, чем по стране—65,4 процента, однако она значительно ниже показателей 1988 года. Конечно, никаких оправданий быть не может тому, что в прошлом году не установлено 568 преступников, не раскрыты 292 кражи личного имущества граждан, что вызывает их справедливое недовольство. Ниже республиканского уровня раскрываемость в Гудаутском, Очамчирском, Гальском, Сухумском районах, г. Сухуми.

**— А как обстоят дела с раскрытием преступлений, совершенных в трагический июль на почве межнациональных отношений?**



— Работа ведется интенсивная. Однако мы имеем серьезные претензии к сотрудникам Гудаутской и Ткварчельской милиции. Руководители органов здесь не добились перелома в деятельности личного состава. В Гудаутском районе не раскрыто 17 преступлений, в том числе 2 убийства, совершенных в период массовых беспорядков, в г. Ткварчели—7. Неблагополучна в этом отношении картина в гг. Сухуми, Гагра, Гульрипшском, Очамчирском районах. На коллегии мы строго указали на эти и другие недостатки отделу уголовного розыска МВД, которому следует поднять уровень своей организаторской, оперативно - розыскной деятельности, усилить требовательность к подразделениям на местах.

**— Сегодня мы все чаще говорим о необходимости усиления борьбы с теневой экономикой, расхитителями и дельцами, орудующими в народном хозяйстве. Как у Вас решается задача защиты социалистической собственности?**

— И об этом на коллегии шел откровенный, нелицеприятный разговор. Снизилось число выявленных преступлений: хищений, взяточничества, других корыстных правонарушений . Почти половина зарегистрированных фактов малозначительны. Например, из 190 дел, направленных в суд, лишь в 8 случаях вынесены приговоры о лишении свободоы, 61 человек осужден условно, 81 — оштрафован.

Вместе с тем, я должен отметить, что в низкой организации борьбы с преступностью в сфере экономики вина не только БХСС. Ведь и эти подразделения в течение всего года отвлекались на выполнение не свойственных им функций.

**— Благодаря гласности, открытости люди сегодня больше знают о работе органов внутренних дел. В то же время гласность выявила язвы в деятельности самих органов. Даже приведенная неполная статистика пугает.**

— Думаю, пугаться не стоит. Отсутствие гласности порождало те и другие недостатки, о которых вы говорите. Нам не нужны были десятки, сотни укрытых от учета преступлений, это создавало мнимую картину благополучия. Мы жестко будем бороться с каждым фактом нарушения социалистической законности в органах внутренних дел, нам не по пути с бездельниками, с теми, кто позабыл к чему его обязывает милицейская форма. Сегодня с каждого из нас спрос особый. Вот почему разговор на коллегии носил острый, критический характер. Есть, конечно, и некоторые положительные сдвиги. Но сегодня главное — сбросить груз прошлых ошибок, сплотить коллективы милиции, вести наступательную борьбу за создание правового государства. Уверен, в этой борьбе мы не одиноки, хотя за последние годы значительно ослаблено участие общественных формирований в борьбе с правонарушениями.

**— Завершая нашу беседу, хотел бы спросить, уверены ли Вы, что нынешний год будет переломным в деятельности МВД Абхазии? Если да, то на чем основана Ваша уверенность?**

— Во-первых, я хочу отметить, что наметилась позитивная тенденция в раскрытии тяжких преступлений. Так, из 11 убийств все раскрыты, в их числе убийство З. Какулия, совершенное гражданином А. Цужба с особым цинизмом и жестокостью.

Много сил и энергии пришлось приложить сотрудникам милиции для установления лица, совершившего убийство гр-на З. Абшилава, которым оказался житель с. Рухи Зугдидского района Джапаридзе, ранее судимый.

Активизировалась борьба с карманными кражами, наркоманией. Сейчас во всех регионах проводятся оперативно - профилактические отработки, и они дают неплохие результаты.

Наша уверенность в том, что мы в текущем году сумеем переломить тенденцию роста преступности, повысить раскрываемость, прежде всего основывается на том, что костяк служб МВД, органов милиции на местах—это здоровая морально и крепкая профессионально сила. Это люди, знающие и понимающие свой долг, свое назначение в обществе, свою высокую ответственность, что и продемонстрировал разговор на коллегии.

Сегодня во многих регионах республики открыты счета «Правопорядка». Было бы большой помощью для нас создание на местах муниципальных милиций, как это делается во многих городах страны. За примером не надо далеко ходить. В г. Кутаиси уже создана такая милиция за счет средств социально-экономического развития предприятий, учреждений. Управлению милиции выделены средства на дополнительное содержание 100 человек. Предприятия направляют в помощь милиции своих лучших работников, обеспечивая не только их содержание, но и выделение специальной формы одежды, транспорта, техники. К сожалению, в нашей автономной республике таких примеров пока нет.

В заключение хочу сказать, что непременным условием обеспечения правопорядка является и создание сплоченных на интернациональных позициях коллективов. Альтернативы этим направлениям нет и не будет. Не буду занимать внимание перечнем задач. Предстоит серьезная борьба, и мы не должны быть побежденными.

**— Гиви Николаевич, какова Ваша программа как одного из кандидатов в депутаты Верховного Совета Грузии?**

— Я хочу выразить свою благодарность избирателям, выдвинувшим меня кандидатом в народные депутаты. Как один из руководителей правоохранительных органов, немало лет проработавший в рядах милиции, считаю, что не только предвыборная программа, но и программа всей моей сознательной жизни была и будет посвящена борьбе за укрепление правопорядка, законности, борьбе с теми, кто нам мешает строить нормальную жизнь.

Я много лет работал в Абхазии, здесь живут близкие мне друзья, товарищи. Я приехал сюда на второй день после начала трагических событий. Мне было больно видеть, как, подстрекаемые экстремистами, вчерашние друзья, братья, соседи подняли оружие, и я делал все для того, чтобы пресечь это. И тогда, и сегодня прилагаю и впредь буду прилагать все силы к тому, чтобы ни один человек, причастный к тяжким преступлениям, не остался безнаказанным: это только часть моей программы.

Независимо от того, буду или нет я избран в парламент республики, останется неизменным мое стремление сделать все для того, чтобы восторжествовали традиции братства, дружбы, уважения и взаимопонимания между абхазским и грузинским народами, представителями всех народов, проживающих в Абхазии и Грузии.

**(Газ. «Советская Абхазия» от 15.II 1990 г.).**

Таблица по отдельным видам преступлений

| | 1988 год | 1989 год. | Рост |
|---|---|---|---|
| Всего преступления | 1.192 | 1.640 | +448 |
| Убийства | 30 | 63 | +33 |
| Нанесение тяжких телесных повреждений | 29 | 55 | +26 |
| Изнасилование | 14 | 17 | +3 |
| Хищения гос. имущества | 82 | 149 | +67 |
| Хищения личного имущества | 129 | 592 | +163 |
| Грабежи | 25 | 33 | +8 |
| Разбойные нападения | 15 | 40 | +25 |
| Угон автотранспорта | 48 | 101 | +52 |

# თანადგომა

**ამ სათაურით** ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მკითხველებს ვაუწყებდით, რომ შს სამინისტროს ერთ-ერთი სამსახურის — გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს მიერ სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში სხვადასხვა დროს 186,5 ათასი მანეთი იქნა გადარიცხული. მათ არც სხვები ჩამორჩნენ.

შსს სამედიცინო განყოფილებამ გასულ წელს სამჯერ გადარიცხა სხვადასხვა დახმარების ფონდში გარკვეული ოდენობის თანხა. ეს იყო ჯერ კიდევ გასული წლის აპრილის თვეში, სამედიცინო განყოფილების პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით (უშუალოდ ა. ბახტაძის) აჭარელთა დახმარების ფონდში გადაირიცხა 1700 მანეთი. ერთი თვის შემდეგ ინიციატივას მხარი აუბა კომკავშირის კომიტეტმა და ამჯერად ბავშვთა რესპუბლიკურ ფონდში გადაირიცხა 758 მანეთი.

გასული წლის დეკემბრის ბოლოს კი პარტიული კომიტეტის, პროფკომისა და ალკკ კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე სამედიცინო განყოფილების კოლექტივმა ერთხმად დაუჭირა მხარი პრემიით მიღებული თანხა 5950 მანეთის ოდენობით მთლიანად გადაერიცხათ სხვადასხვა დახმარების ფონდში.

შს სამინისტროს ამ თაოსნობას ქალაქისა და რაიგანყოფილების თანამშრომლებმაც აუბეს მხარი.

მთლიანად რესპუბლიკის შს სისტემის თანამშრომელთა მიერ სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა დახმარების ფონდში გადარიცხულია 300 ათასი მანეთი.

ალბათ უსასრულოდ შეიძლება ვწეროთ იმ გულმოწყალებაზე მთელმა საქართველომ რომ გამოიჩინა მოძმეთა დასახმარებლად, მაგრამ უმჯობესია წერტილი აქ დავსვათ, რადგან სიკეთის კეთებას არ სჭირდება ხმაური. სანთელ საკმეველს თავისი გზა არასოდეს არ დაუკარგავს.

**მ. მოსიძე**

# დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებულები

**საქართველოს** შს სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველომ გასულ წელს ჩაატარა სახანძრო ტექნიკის და ტექნიკური შეიარაღების რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერება-კონკურსი.

კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას რაიონებსა და ქალაქებში ყველამ როდი დაუთმო სათანადო ყურადღება, მაგრამ ძირითადად ამ მიმართულებით გაშლილი იყო მუშაობა, რასაც ხელს უწყობდა სამმართველოდან კონტროლისა და დახმარების გაწევა. ბევრი სასარგებლო ღონისძიება ჩატარდა ადგილებზე, გაუმჯობესდა ტექნიკისა და ტექნიკური შეიარაღების მოვლა-პატრონობა და სრულ წესრიგში მოყვანა.

საბოლოო შედეგებით გასამხედროებული სახანძრო დაცვის ნაწილებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა ბათუმის 34-ე გასამხედროებულმა ნაწილმა. მეორე ადგილი ფოთის 29-ე და ქუთაისის მე-40 ნაწილებმა. მესამე ადგილი კი ქ. თბილისის მე-3 და მე-15, აგრეთვე ქ. სოხუმის 21-ე ნაწილებმა.

პროფესიული სახანძრო დაცვის რაზმებიდან პირველი ადგილი დაისაკუთრა გარდაბნის 65-ე სახანძრო ნაწილმა, მეორე ადგილზე გავიდნენ ცაგერის 112-ე, ახალციხის 57-ე, ქობულეთის მე-15 და ფოთის 39-ე ნაწილები. მესამე ადგილი კი წილად ერგო გალის მე-8, წყალტუბოს 119-ე, ოზურგეთის 93-ე და დმანისის 82-ე ნაწილებს.

ყველა ხსენებული სახანძრო ნაწილი დაჯილდოვდა ფულადი პრემიითა და სიგელებით.

**ლ. ჯოჯუა**

**ფოთის პროფესიული სახანძრო რაზმის უფროსი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე გამოცდილება

# ვინ იცავს ქალაქში წესრიგს

**საზოგადოებრივი** წესრიგის დაცვა ყველგან და ყველასათვის აუცილებელი რომაა, ეს უდაოა, მაგრამ ვინ უნდა აგოს მის განხორციელებაზე პასუხი ეს პრობლემის მთავარი მხარეა. სადმე ვინმეს, მავანს და მავანს ფრჩხილიც რომ მოსტყდეს მილიციაში გამორბის, ან უბნის ინსპექტორთან, ან კიდევ თამამად კრიფავს ელსმენზე ნომერს — „02“. არადა მახსოვს, ადრე მილიციას გვერდში ედგა წითელსამკლაურიანი ადამიანები, სახალხო რაზმელებს რომ ვეძახით და მათთან ერთად ბევრი კარგი საქმე უკეთებიათ, მიუღიათ მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. ბევრი გზასაცდენილი ახალგაზრდა დაუყენებიათ ჭეშმარიტების ბილიკზე, ბევრისათვის აუცილებიათ განსაცდელი, მაგრამ თანდათან ეს სახალხო რაზმელები თვალს დააკლდნენ და დღეს უკვე იშვიათობად გვექცა. არადა წესრიგს მარტო მილიცია ვერ დაიცავს, თუ კი მას საზოგადოების გარკვეული ნაწილი მხარში არ ამოუდგა, თუ კი ყველა ადამიანი არ ჩაუფიქრდა დღეს მის ირგვლივ არსებულ რთულ ოპერატიულ ვითარებას და თუკი ე. წ. სახალხო რაზმელები არ განაახლებენ თავიანთ ფუნქციონალურ მოვალეობას. სიტყვამ მოიტანა და დღეს სწორედ ერთ ასეთ ახლად შექმნილ რაზმეულის მუშაობაზე გვინდა მოგითხროთ.

ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის გასამხედროებული დაცვის რაზმის სპეციალიზირებული სახალხო რაზმეული სულ რაღაც სამი წელია არსებობს, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მათ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შესძლეს. მარტო გასულ წელს სპეციალიზირებული სახალხო რაზმეულების მიერ გამოვლენილ იქნა წვრილმანი ქურდობის 7 შემთხვევა, აღიკვეთა 2 დანაშაული, გამოვლენილი იქნა სასაშვო რეჟიმის დარღვევისათვის 230 კაცი.

ფოთი ერთ-ერთი ზღვისპირა ქალაქია, სადაც ყოველდღიურად შემოდის არაერთი გემი, ჩამოდიან ტურისტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და ყველაზე მეტი წესი და რიგი რომ აქ გვჭირდება ესეც უდაოა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ქალაქის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის ხელმძღვანელობამ (უშუალოდ ნავსადგურის უფროსმა ვ. გეგიძემ და მისმა მოადგილემ, გასამხედროებული დაცვის რაზმის უფროსმა ნ. ხუბულიამ) ნებაყოფლობით საწყისებზე შეექმნა სპეცსახალხო რაზმელთა შტაბი. ფიქრი რეალობად იქცა. მსურველები საკმაოდ გამოჩნდნენ და ჩამოყალიბდა 50 კაციანი სპეცსახალხო რაზმეული, რომლებიც ემსახურებიან სასაზღვრო ჯარის ნაწილებს. ქალაქში ყოველ ღამე 19-23 საათამდე შეხვდებით 10-12 სპეცსახალხო რაზმელს, რომელიც პასუხს აგებს ქალაქის ნორმალურ მაჯისცემაზე, მის ავ-კარგზე. თავის მხრივ მათ მუშაობას აკონტროლებენ სატრანსპორტო მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ნ. გვიჩია, ფოთის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულთა საქალაქო საბჭოს ინსპექტორი ჯ. მოსაია, ქალაქის მილიციის განყოფილება, უშუალოდ ნავსადგურის შტაბის უფროსი ნ. ხუბულია და სპეცსახალხო რაზმელთა ჯგუფების უფროსი ვ. ზაკირნიჩნი. ასე ერთობლივად, ერთმანეთთან თანადგომით რეგულირდება საზოგადოებრივი წესრიგი ფოთში.

სპეცსახალხო რაზმელთა მუშაობაში დღემდე მიღწეული წარმატებები იმანაც განაპირობა, რომ აქ მოღვაწეობენ მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები, ისინი, ვისაც ყველაზე ძვირად ულირს თავისი ქალაქის ავტორიტეტი, ბევრ მათგანს მიღებული აქვს სხვადასხვა ხარისხის მედლები. შ. ჩიხლაძე 1988 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დააჯილდოვა მედლით „სსრკ საზღვრის დაცვის საქმეში თავგამოჩენისათვის“. სახალხო რაზმელმა ვ. ჯურხაძემ მიიღო სასაზღვრო ჯარის ნაწილების ფრიადოსნის II ხარისხის ნიშანი, ასეთივე სამკერდე ნიშანი მიიღო ო. დამენიამ და ა. ნორაკიძემ. მათი ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანდა, რადგან ჩვენდა საბედნიეროდ მათი რიცხვი მრავლადაა.

ფოთელებს ეიმედებათ ამ წითელსამკლაურიანი ადამიანებისა და რომ კითხოთ ვინ იცავს ქალაქში დღეს წესრიგსო, უთუოდ მათზე დაგიწყებენ საუბარს.

დასასრულ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის სპეცსახალხო რაზმეულს, კერძოდ მის შტაბს, დახვეწილი და მოგვარებული აქვს მუშაობის ყველა ორგანიზაციული მხარე. მათ გააჩნიათ საკუთარი ნიშანი „სპეცსახალხო რაზმეული“, განცხადების სპეციალური ფორმა, აღრიცხვის, მუშაობის გრაფიკის, ყველა საჭირო დოკუმენტის მათეული ფორმა, რომელიც მართალია ჯერ-ჯერობით მხოლოდ რუსულენოვანია, მაგრამ როგორც ბატონმა ნ. ხუბულიამ გვაცნობა ყველა ზემოაღნიშნული ფურცლები უკვე გადაცემულია ქართულად წარმოებაში, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია კეთილი სურვილებით დავლოცოთ ფოთელთა კარგი თაოსნობა.

**მარინა გვრიტიშვილი,**
*თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.*

# МЕЧТАЕТ СТАТЬ ОФИЦЕРОМ



**УЖЕ** несколько лет на грузинскую землю периодически обрушиваются стихийные бедствия, нанося материальный ущерб и унося жизнь мирных жителей. Так было в Сванетии, Юго-Осетии, в высокогорных районах Аджарии. Люди мужественно боролись со стихией, но порой бывало и так, что стихия побеждала. Многие жители из пострадавших районов вынуждены были покинуть свои родные места и нашли приют в районах Квемо Картли, Месхет - Джавахети и других местах. В этих регионах для них строятся дома с приусадебными участками, а трудоспособное население обеспечивается работой.

В Дманисском районе вот уже третий год живут и трудятся переселенцы из Сванетии, среди них и пожарный Спартак Гурчиани (на снимке). Молодой комсомолец, демобилизовавшись из рядов Советской Армии, поступил недавно на службу в пожарную часть. С. Гурчиани очень смелый, ловкий и трудолюбивый сотрудник, — говорит заместитель начальника пожарной части г. Дманиси И. Балахадзе,— несмотря на то, что Спартак молод, он уже не раз принимал участие в тушении пожаров, где проявил смелость. Имеет поощрения, старательный, мечтает поступить в Харьковское пожарно - техническое училище МВД СССР, стать офицером.

**А. МАЛАЯНЦ.**

# არასრულწლოვანი მკვლელები

**დღის** ორი საათი იქნებოდა, როცა მოხუცი ქალი შევიდა ხობის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში და აღელვებულმა მიმართა განყოფილების მორიგეს: — შვილო ჭალადიდში, რკინიგზის სადგურთან ახლოს არხში კაცის ცხედარი გდია. ქალის ნათქვამი იმწამსვე შეატყობინეს განყოფილების უფროსს, მილიციის მაიორს მ. ჩიქობავას. არ გასულა სულ რამოდენიმე წუთი, რომ ჩამოყალიბდა ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ი. გუნიავა, ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ა. სერგია, მილიციის უფროსი ლეიტენანტი მ. ალანია, უბნის ინსპექტორი, მილიციის მაიორი ვ. ჩადუნელი და გამომძიებელი, მილიციის მაიორი რ. მიქავა.

ოპერჯგუფის წევრებმა დაადგინეს მიცვალებულის ვინაობა, რომლის სიკვდილის მიზეზი რაღაც ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანებები იყო. მიცვალებული აღმოჩნდა ამავე სოფლის მკვიდრი სადგურის მუშა ა. ბალაბუევი.

ბოროტმოქმედის კვალი არსად არ ჩანდა. განყოფილების უფროსის მ. ჩიქობავას სამსახურებრივმა გამოცდილებამ, ჩეკისტის ალღომ თავისი ნაყოფი გამოიღო და სულ რაღაც ერთ საათში უფროსის კაბინეტში მოიყვანეს სამი არასრულწლოვანი, ამავე სოფლის მცხოვრებნი რ. ლ. ე. თ. და ე. რ. წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ამ სამეულმა, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ ძალით წაართვეს ბალაბუევს ველოსიპედი, როცა ველოსიპედის პატრონმა წინააღმდეგობა გაუწია სამივემ დაუწყეს მას ცემა და რკინის კეტით დარტყმა მიაყენეს თავის არეში. როცა ბალაბუევი მიწაზე უგრძნობლად დაეცა, მათ ჯიბიდან ამოულეს ფული, გვამი კი იქვე არხში გადააგდეს და მიიმალნენ...

მკვლელებმა დანაშაული აღიარეს.



სურათზე: (მარცხნიდან) ვ. ჩადუნელი, ა. სერგია, ი. გუნიავა, მ. ალანია და მ. ჩიქობავა.

**გ. მგალობლიშვილი.**

ავტორის ფოტო.

# Только факты

**● 25 февраля с. г. в Цителицкаройский РОВД обратилась Александра М., 1960 г. р., проживающая в поселке Большие Шираки с заявлением о том, что 23 февраля с. г. неустановленный преступник изнасиловал ее дочь Людмилу М., 1982 г. р. Принятыми мерами задержан житель села Земо-Кеди, рабочий цителицкаройского дорожно - строительного управления Г. Б.**

**● 26 февраля в 03 часов в селе Ингири Зугдидского района Бесик Ч., 1968 г. р., временно неработающий, и Паата Г., 1968 г. р., учащийся зугдидского ПТУ-62, проживающие в указанном селе, взломав дверь, проникли в магазин промтоваров, откуда совершили кражу разных промтоваров на сумму 5.000 рублей. Преступники задержаны. Краденое изъято.**

**● 28 февраля с. г. сотрудниками ОУР УВД г. Тбилиси задержан Сергей Б., 1956 г. р., житель г. Ленинграда, у которого изъят кнопочный нож.**

**● 28 февраля с. г. сотрудниками Калининского РОВД задержан Георгий М., 1965 г. р., инженер Закавказской геологической экспедиции, у которого изъято 0,51 г опиума и одноразовый медицинский шприц.**

ОСТАЮТСЯ В СТРОЮ

# СЛОВО И ДЕЛО ВЕТЕРАНА

**ЖИЗНЬ** каждого человека складывается из поступков, больших и малых, и именно они, в конечном счете, формируют его личность, определяют ее ценность. У ветерана войны, труда и органов внутренних дел республики Сергея Григорьевича Адлейба слова никогда не расходились с делами, свидетельством чему вся его долгая боевая и трудовая биография.

Один из самых важных, по-настоящему взрослых, поступков он совершил еще в грозном 1941 году, когда семнадцатилетним пареньком, по примеру своих старших братьев, кадровых военных, решил встать в ряды защитников Родины. Призыву он по возрасту не подлежал, но всеми правдами и неправдами (даже выправив свои данные в сельсовете) сумел настоять на своем в комиссиях военкоматов в Очамчире, а затем в Тбилиси, где ему сперва тоже отказали.

Потом были Ростов, где он попал под первую в жизни бомбежку, воочию увидев ее трагические последствия, учебный отряд в Севастополе, где он обучался специальности дальномера. Но к тому времени городу уже грозила реальная опасность с суши, и Сергей Григорьевич в числе других добровольцев был зачислен в ряды легендарной морской пехоты.

Довелось ему сражаться с врагом на многих опасных участках, в том числе и на таких узловых пунктах обороны, как гора Микеиза, Сапун-гора, подвергавшихся наиболее ожесточенным атакам. Не раз фашисты не в силах взять позиции штурмом забрасывали их листовками, предлагая сдаться, но среди защитников черноморской твердыни предателей не было.

Особым бесстрашием, помноженным на традиционную флотскую лихость, отличались атаки морских пехотинцев, которых фашисты в ужасе называли «черной смертью». В одной из таких отчаянно бесстрашных атак Сергей Григорьевич был тяжело ранен в голову и ноги. Очнулся уже в госпитале, где прямо под обстрелом ему сделали операцию, после которой он был эвакуирован в Батуми.

Состояние его было очень тяжелым, началось заражение, у врачей опустились руки, и только один из них, Георгий Георгиевич Гедевани не терял надежды. Именно он, успешно проведя 12-часовую операцию, не только вернул С. Адлейба к жизни, но и сохранил ему ноги, которые предлагали ампутировать.

Многие считали, что Сергея Григорьевича нет в живых, даже имя его вместе с погибшими братьями занесено в книгу «Вечная память». Но выжил солдат, всем смертям назло, до конца войны работал военкомом в одной из школ, там совсем еще молодой, передавал свой боевой опыт школьникам. Затем более четверти века служил в системе пожарной охраны, в



разное время был заместителем и начальником Очамчирского и Сухумского подразделений пожарной охраны. В 1972 году стал заведующим складом вооружений МВД автономной республики, затем, уже выйдя на пенсию, — инспектором хозяйственного отдела министерства. О его добросовестной работе свидетельствуют не только многочисленные награды, в том числе орден Отечественной войны I степени, медали «За боевые заслуги», «За доблестный труд», Почетные грамоты МВД ГССР и МВД Абхазской АССР, но и тот факт, что за все годы службы он не получил не только взыскания, но и устного замечания.

Годы, конечно, берут свое, но характер у Сергея Григорьевича и сейчас такой же порывистый и энергичный. А самым большим желанием его сейчас, в период межнациональных конфликтов, оборачивающихся порой кровавыми драмами, является собрать ветеранов, вместе поговорить с молодежью, которой, считает, очень нужно их мудрое слово. «Веками на земле Абхазии жили люди разных национальностей, вместе работали на ней, вместе защищали ее от врага, — говорит Сергей Григорьевич. — Все у нас переплетено родственными и дружескими связями. Мы с женой, грузинкой, Гули Владимировной Пруидзе, почти тридцать лет живем, что называется, душа в душу, наши дети вступили в межнациональные браки, у нас восемь внуков, и не дай бог им узнать ужас междоусобиц. Сейчас особенно важно вместе противостоять интриганам и демагогам, натравливающим людей друг на друга, всемерно беречь и укреплять традиции дружбы, заложенные прошлыми поколениями».

Можно только присоединиться к этим его словам и пожелать Сергею Григорьевичу крепкого здоровья, долгих лет жизни, и по возможности, исполнения задуманного. Ведь слова у него никогда не расходились с делами.

**А. ЦАТУРОВ.**

# ძმურად ვიცხოვროთ, ვიშრომოთ და გავუადვილოთ ერთმანეთს ცხოვრება

## ასეთია სხვადასხვა ეროვნების მსჯავრდებულთა აზრი

**ჩვენს** მრავალეროვან ქვეყანაში გარდაქმნისა და განახლების პროცესი საკმაოდ რთული პრობლემების რეგულირების გარეშე შეუძლებელი შეიქმნა. ამ გზაზე სხვა მრავალ „ბარიკადთა" შორის, რომელიც წარსულმა მძიმე მემკვიდრეობად დაგვიტოვა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხი. საქართველოს მოსახლეობა გულისყურით ადევნებს თვალს სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე ამბებს.

მიუხედავად მეზობელ რესპუბლიკაში არსებული ერთობ მწვავე მდგომარეობისა, საქართველოში მცხოვრებ ამ ერების წარმომადგენელთა შორის არასასურველ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. ამის მკაფიო დადასტურებაა გაზეთ „შრომითი ცხოვრებისათვის" შესული კოლექტიური წერილები.

შრომა-გასწორების დაწესებულების, სადაც უფროსია ზამბახიძე მსჯავრდებულები მოგვმართავენ: **ამიერკავკასიის რესპუბლიკებში დაიძაბა ერთაშორისი ურთიერთობები, რამაც რასაკვირველია იმოქმედა ჩვენს რესპუბლიკაზეც. ვინაიდან ჩვენს დაწესებულებაში არიან სხვადასხვა ერის წარმომადგენლები თითქოს თავი უნდა ეჩინა ექსცესებს ეროვნულ ნიადაგზე, მაგრამ არც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარი შეტაკებების დროს, არც სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესების ვითარებაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა არა თუ რაიმე კონფლიქტისა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის, არამედ უბრალო შელაპარაკებაც კი.**

აღნიშნულ წერილზე ხელს აწერენ: თ. გაბუნია, მ. ქარიმოვი, რ. ზაქაიძე, ი. მუზაევი, ქ. ჩიქოვანი, რ. ლაკერბაია, ხურიევი, მამედოვი, კარაფელიანი, ალიიანი, ალიევი, სალლიანი, მირცხულავა, ხურიევი, ბაბაევი, დრიაევი, იუხატოვი, მანუკიანი, ბაზაზაშვილი.

დაწესებულებიდან სადაც უფროსია გ. ქებურია რედაქციამ მიიღო მიმართვა მსჯავრდებულებისაგან:

**აქ ჩვენთან ერთად დიდ კოლექტივში, დიდ ოჯახში, ერთი მეორის მხარდამხარ ძმურად და მეგობრულად ვცხოვრობდით და დღესაც ვცხოვრობთ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, აფხაზები, ოსები, უზბეკები, იეზიდები, ბერძნები, ქურთები, უკრაინელები, ლეკები, განა ჩვენთან კი არ არის სიძნელეები და გადაუწყვეტელი საკითხები, მაგრამ მათ ჩვენ არასდროს არ ვუკავშირებთ ეროვნულ წარმომავლობას, ნაციონალურ საკითხებს, ჩვენთვის ეს უცხოა და მიუღებელი. ამიტომ ჩვენ, შრომა-გასწორების დაწესებულებაში მყოფ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს, მსჯავრდებულებს, გადაწყვეტილი გვაქვს კვლავაც ერთ დიდ კოლექტივში ძმურად და მეგობრულად ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ერთი მეორის მხარდამხარ. გავუადვილოთ და შევუმსუბუქოთ ერთმანეთს შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები. ამასვე მოვუწოდებთ ყველა ერის წარმომადგენლებს, ვინც სასჯელს იხდის საქართველოში.**

მიმართვას ხელს აწერენ:

ტუღუში, ძოძიშვილი, ბელაუსი, ზაქროშვილი, სალახ ზადე, მარტიროსიანი, გუბაევი, ერტოკაევი, სუხია, პორტილია, ლომია, ხარაჩოევი, ოსიპოვი, კოროლკოვი.

---

СПОРТ

# НА ТБИЛИССКОМ ТАТАМИ

**В ТБИЛИССКОМ** Дворце спорта завершился XXI традиционный международный турнир по дзюдо, в котором участвовали борцы из Болгарии, Польши, Чехословакии, КНДР, Советского Союза, Испании, США, Франции, Турции, Японии и Грузии.

День открытия соревнований ознаменовался первой неожиданностью. Молодой, прогрессирующий динамовец Д. Хахалеишвили в финальной схватке в категории свыше 95 кг одержал чистую победу над своим именитым соперником, шестикратным победителем подобных турниров А. Кибордзалидзе, а в весовой категории 86 кг динамовец Д. Багаури лишь в финальной схватке уступил французу Т. Паскалю и удостоился серебряной награды.

Победителями в весовых категориях 71 кг, 65 кг и 60 кг также стали грузинские борцы Б. Джикури, Г. Модебадзе, А. Тотикашвили, а в абсолютной весовой категории победителем стал Г. Губеладзе.

Был на турнире еще один момент, на котором хотелось бы остановиться. Олимпийскому чемпиону Ш. Хабарели, главному тренеру сборной Грузии, снова аплодировали трибуны. Шота награжден почетным знаком МОК и памятным подарком Госкомспорта СССР за плодотворную спортивную деятельность.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

---

# ПАМЯТИ ТОВАРИЩА



**ГОРЬКАЯ** весть об утрате болью отозвалась в наших сердцах — ушел из жизни заслуженный работник органов внутренних дел Грузинской ССР подполковник в отставке, член КПСС с 1942 года Василий Яковлевич Богданов.

В. Я. Богданов родился в 1911 году. Работая в органах МВД Грузии на различных ответственных должностях, выделялся высоким профессионализмом, добросовестным отношением к порученному делу, был награжден многими медалями.

Память о заслуженном чекисте, отзывчивом человеке В. Я. Богданове навсегда останется в сердцах сослуживцев.

**СОВЕТ ВЕТЕРАНОВ МВД ГРУЗИНСКОЙ ССР**

---

ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# მოქმედებენ სპეციალური გეგმებით

**გაზეთ** „მებრძოლი გუშაგის" 1990 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილთან „ვის სჭირდება ამდენი მილიციელი" დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

სპორტულ, კულტურულ თუ სხვა მასობრივ ღონისძიებებზე მილიციის განაწესების გამოყვანის დრო და მათი რიცხობრივი რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული სპეციალური გეგმებით, რომლებითაც სხვა გარემოებებთან ერთად გათვალისწინებულია ღონისძიებებისადმი საზოგადოებრიობის ინტერესი და ანალოგიურ ღონისძიებებზე ადრე მიღებული გამოცდილება.

წერილის ავტორი გვსაყვედურობს, რომ სპორტულ შეჯიბრებებზე წესრიგის დასაცავად არ ვიყენებთ სახალხო რაზმელებს და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. უდავოა, რომ წესრიგის დაცვის ღონისძიებებში საზოგადოებრივი ფორმირების აქტიური მონაწილეობა საშუალებას მოგვცემდა გამოგვეთავისუფლებინა მილიციელთა გარკვეული რაოდენობა და გამოგვეყენებინა სხვა დანიშნულებით, მაგრამ განა დასამალია ის, რომ ზოგიერთ გულშემატკივართა აღვირახსნილი მოქმედების გამო (რომლის არაერთი მაგალითის მოწმენიც ვართ) იძულებულები ვხდებით მობილიზაცია გავუკეთოთ ჩვენს ძალებს.

რედაქციაც და წერილის ავტორიც ალბათ დაგვეთანხმება, რომ სხვებზე არანაკლებ შეგვტკივა გული ჩვენს თანამშრომლებზე და სხვაზე მეტს ვზრუნავთ, რათა მათ ჰქონდეთ ნორმალური მუშაობის და დასვენების პირობები, მაგრამ როდესაც შექმნილი სიტუაცია მოითხოვს მილიციის მუშაკები ყოველთვის მზად არიან დაიცვან მოქალაქეთა სიმშვიდე და კანონიერი უფლებები.

რაც შეეხება ბატონ მორგოშიას მიერ წერილში კონკრეტულ ფაქტს, თუ იგი ჟურნალისტის ფანტაზიის ნაყოფი არ არის, მაშინ მას უნდა დაესახელებინა კიდევაც იმ მილიციელის გვარი, რომელმაც „მთელი ტაიმი თამაშის თვალყურის დევნების საშუალება არ მისცა", თორემ ალოგიკურია, როდესაც ასახელებ გვარს ვისი განკარგულებითაც მოქმედებდა მილიციელი, და უარს ამბობს იმ პიროვნების დასახელებაზე, რომელმაც ასე „შეავიწროვა" და მის მიმართ კი ხელმძღვანელობამ არავითარი ზომები არ მიიღო.

წერილთან დაკავშირებით რედაქციას ვთხოვეთ მოეწყო ბატონ თ. მორგოშიასთან ჩვენი შეხვედრა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ასეთი შეხვედრა არ შესდგა, არა და ჩვენის აზრით იგი ბევრ საკითხებს მოჰფენდა ნათელს და აღარ იქნებოდა საკითხავი თუ ვის და რისთვის სჭირდება ამდენი მილიციელი.

**მ. ლუდუშაური,**

**ქ. თბილისის შს სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი.**

---

# ვწეროთ და ვიკითხოთ

## ანუ ისევ იმის შესახებ არის თუ არა საჭირო სპორტულ ღონისძიებებზე ამდენი მილიციელის მორიგეობა

**მიმდინარე** წლის 13 იანვარს „მებრძოლ გუშაგში" დავბეჭდე რეპლიკა „ვის სჭირდება ამდენი მილიციელი". მასში ვაყენებდი საკითხს, რომ სპორტის სასახლეში, „დინამოს" სტადიონზე სპორტული შეჯიბრების დროს არ არის საჭირო ასეთი რაოდენობით წესრიგის დამცველები.

რეპლიკის დაბეჭდვიდან ერთ თვეზე მეტმა განვლო, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, რედაქციამ მხოლოდ ქალაქის შს სამმართველოდან მიიღო ოფიციალური პასუხი. რა ვიფიქროთ ყოველივე ამის შემდეგ? ისე ხომ არ გამოდის ჟურნალისტებმა რაც გინდათ წერეთ და იკითხეთ, ჩვენ მაინც ჩვენსას გავაკეთებთო.

ისე არავინ გამიგოს, თითქოს სპორტის სასახლეში, „დინამოს" სტადიონზე წესრიგის დამცველი არ იყოს საჭირო. ამას არავინ ამტკიცებს. ლაპარაკია მხოლოდ მათ რაოდენობაზე. და რატომ მაინც და მაინც კალათბურთზე და ფეხბურთზეა საჭირო ამდენი მილიციელი და არა ჭიდაობაზე, ხელბურთზე, ფრენბურთზე. საქართველოს პირველობას კალათბურთში მილიცია თითქმის არ გაჰკარებია.

რეპლიკაში ვსაუბრობდი იმის შესახებაც, რომ რამდენიმე წლის წინ მილიციის თანამშრომლებმა გამოიჩინეს არაეთიკური საქციელი და ტყუილუბრალოდ ჩამომიყვანეს ადგილიდან და მთელი ერთი ტაიმის მანძილზე მატჩისათვის თვალყურის დევნების საშუალება არ მომცეს.

რაც მართალია მართალია, რეპლიკის დაბეჭდვისთანავე ქალაქის შს სამმართველოდან და ლენინის რაიონის შს რაიგანყოფილებიდან რედაქციაში დარეკეს და ავტორს იმ მილიციელის გვარის დასახელება თხოვეს.

ჯერ ერთი, ეს ფაქტი ამ რამდენიმე წლის წინ მოხდა და მაშინაც არ ვიცოდი იმ მილიციელის გვარი. ისე კი, თავის დროზე ლენინის შს რაიგანყოფილების უფროსს შ. ძნელაძეს მე გავაგებინე ამ ფაქტის შესახებ, მაგრამ ვითომც არაფერი, ზომები არ მიუღია ახლა კი რაღა დროისაა.

თუ გული გულობდა, მაშინ უნდა დასჯილიყო დასასჯელი. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ქალაქის შს სამმართველომ, რაიონების მილიციის უფროსებმა მკაცრად გააფრთხილონ თავიანთი მუშაკები, რათა გულშემატკივრებს მოეპყრონ ადამიანურად. აი, ის მთავარი, რისი თქმაც მინდოდა იმ კონკრეტული მაგალითის მოშველიებით, სხვა არაფერი, მითუმეტეს ასეთი დაგვიანებით ვინმეს დასჯა ავტორის თვითმიზანი არ არის.

**რედაქციისაგან:** ვფიქრობთ ორივე მხარე დასაბუთებულად ამტკიცებს თავის პოზიციას, მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე მილიციელთა რაოდენობის საკითხი ვფიქრობთ უნდა დადგეს შესაბამისი ხელმძღვანელობის წინაშე. თუმცა ბოლოდროინდელმა სპორტისა და მუსიკის „მოყვარულთა" ვანდალიზმმა ისიც გვიჩვენა, რომ საჭიროა მილიციის მუშაკთა მეტი ყურადღება და სპეცმომზადება. ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯებზე მოგვითხრობს ქვემოთ დაბეჭდილი ინფორმაცია.

---

# ოპერატიულ-ტაქტიკურ სწავლებაზე



**ახლახან** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში მეთაურ-მასწავლებელთა და საკურსო მომზადების მსმენელთა მონაწილეობით, მომზადდა და ჩატარდა ოპერატიულ-ტაქტიკური სწავლება მასობრივი უწესრიგობისა და შინაგან საქმეთა დანაყოფებზე თავდასხმის აღკვეთისათვის პირადი შემადგენლობის მოქმედების სრულყოფისათვის.

სწავლებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

აქვე განხილული იქნა სწავლების ორგანიზაციული და მეთოდური მხარე, აღინიშნა მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. შეიქმნა სასწავლო ვიდეოფილმი.

**მ. ბეკელიძე.**

**შსს სასწავლო ცენტრის უფროსი მასწავლებელი, მილიციის მაიორი.**

* * *

**სურათზე:** ოპერატიულ-ტაქტიკური სწავლების დროს.

---

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის 29.

უე 09323